თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ.თელავი 19. 03. 2024 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, რუსუდან იმერლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარის მოადგილეები: **ოთარ ესიტაშვილი, ზაზა ტატულიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე **ბაადურ რევაზიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარის მოადგილე **ეთერ გურგენაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კულტურის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **გიორგი ქართლელიშვილი, ნინო ომანიძე, ივანე დალაქიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი,** ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახურის დირექტორი **ივანე იორდანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი - **ნუგზარ ბაჩიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი, მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.**

დღისწესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3

კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტებზე ახალი სამარშრუტო ხაზების დამატება და მე-5, მე-8 მარშრუტებზე ცვლილების განხორციელება.

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 2 ერთეული (M3 კატეგორია) სამგზავრო ავტობუსის შესყიდვა, ამასთან ერთად მუნიციპალიტეტს დამატებით გადმოეცა 3 ერთეული ავტობუსი. რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ არსებულ მარშრუტებს დაემატოს 3 ახალი სამარშრუტო ხაზი, რომელიც გადაადგილდება თელავის მუნიციპალიტეტის სოფლების მიმართულებით, კერძოდ:

ა) **N9 ავტობუსი** იმოძრავებს **თელავი-აკურა-თელავის** მიმართულებით და მოიცავს მიმდებარე სოფლებს;

ბ) **N10 ავტობუსი** იმოძრავებს **თელავი-იყალთო-თელავის** მიმართულებით და მოიცავს მიმდებარე სოფლებს;

გ) **N11 ავტობუსი** იმოძრავებს **თელავი-ფშაველი-ლეჩური-თელავის** მიმართულებით და მოიცავს მიმდებარე სოფლებს.

ცვლილება ხორციელდება აგრეთვე N5 და N8 მარშრუტებში, კერძოდ: **N5 ავტობუსი** ვახტანგ სეხნიაშვილის და კავკასიონის ქუჩის ნაცვლად, ალაზნის გამზირიდან გაივლის დავით აღმაშენებლის გამზირს, შოთა რუსთაველის გამზირს (წრიული), ილია ჭავჭავაძის გამზირს (აგრარული ბაზარი) ქეთევან წამებულის მიმართულებით, ხოლო **N8 ავტობუსი** ილია ჭავჭავაძის გამზირის (ყადორის) ნაცვლად მარშრუტს დაიწყებს და დაამთავრებს ილია ჭავჭავაძის გამზირი (აგრარული ბაზრიდან).

ბაადურ რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ კავკასიონის ქუჩიდან მეცხრე საჯარო სკოლამდე იქნება ერთი სამარშუტო ლოკაცია მოცული. **ივანე იორდანიშვილმა** უპასუხა, რომ დღეის მდგომარეობით ამის რესურსი არ არის.

ბაადურ გულიაშვილმა კითხვით მიმართა ივანე იორდანიშვილს საკრებულოს თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ მოხდა გაჩერების ადგილმდებარეობის მიზანშეწონილობის შესწავლა და თუ არის

გაცნობილი ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას? რაზეც უპასუხეს, რომ აღნიშნულ დასკვნის შესახებ ის არ ფლობს ინფორმაციას.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხს მოიკვლევს.

გადაწყვიტეს: კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანის ძირითად მიზანს წარმოადგენს №9 (თელავი-აკურა-თელავი), №10 (თელავი-იყალთო-თელავი) და №11 (თელავი-ფშაველი-ლეჩური-თელავი)ახალ სამარშრუტო ხაზებზე, რომელიც იმოძრავებს თელავის მუნიციპალიტეტის სოფლების მიმართულებით, მგზავრობის ტარიფის დადგენა. წარმოდგენილი ცვლილების პროექტის თანახმად, აღნიშნულ მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვრა 1.00 ლარით.

აგრეთვე, დადგენილების მოქმედი რედაქციით (მუხლი 2) თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის უფლება მინიჭებული აქვთ გარკვეული სტატუსის მქონე პირებს, თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის ფაქტის მიხედვით. წარმოდგენილი ცვლილების პროექტის თანახმად, იმისათვის, რომ დადგენილებით განსაზღვრული შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უფრო მეტ მოქალაქეს, რეგისტრაციის ფაქტთან ერთად, წინაპირობად ასევე განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტი.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირებზე სამგზავრო პერსონიფიცირებული პლასტიკური ბარათები მზადდებოდა და გაიცემოდა სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწვდილ მონაცემთა ბაზებში მოქალაქის

გადამოწმების გზით და ვინაიდან, ხსენებული მონაცემთა ბაზის განახლებაზე თელავის მუნიციპალიტეტის მერიას ეთქვა უარი, შეიქმნა საჭიროება, რომ შეღავათით მოსარგებლე პირებმა (გარდა მოსწავლისა და სტუდენტისა) სტატუსის შემოწმების მიზნით, სტატუსისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინონ ყოველწლიურად, რაც შეეხება მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მათი სტატუსის შემოწმებას განახორციელებს მომსახურების განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტი (ბარათის გამცემი) სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ურთიერთანამშრომლობის გზით, მათ მიერ შეთანხმებული ფორმითა და პირობებით. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, შესაბამისი კორექტირება განიცადა დადგენილების მე-5 მუხლმა.

რაც შეეხება დადგენილების მე-3 მუხლს, ცვლილება ხორციელდება მუხლის ნუმერაციასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით.

გადაწყვიტეს: კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N62 განკარგულებით, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შალაურში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 53.06.41.037) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ძველი ამბულატორია), რომლის ფართობი არ აღმოჩნდა საკმარისი თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ახალი სამედიცინო ამბულატორიის მოსაწყობად. სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი 53.06.41.149) მდებარეობს 53.06.41.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე რაიმე მიზნით გამოყენება არ არის დაგეგმილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სოფელ შალაურში მდებარე 214 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.06.41.149) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცეს უსასყიდლოდ, შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამედიცინო მომსახურების განვითარებას.

გადაწყვიტეს: კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის" მიზანია ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას არაფორმალური განათლების, დასაქმებისა და სხვადასხვა სერვისის მიწოდების საშუალებით.

ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში მდებარე N02/1 შენობა-ნაგებობაში არსებული 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" 2005 წლიდან 2021 წლამდე სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული, რა დროსაც ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა უძრავი ქონების მდგომარეობა, განახორციელა სრულფასოვანი სარემონტო სამუშაოები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყო ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე რაიმე მიზნით გამოყენება არ არის დაგეგმილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში მდებარე N02/1 შენობა-ნაგებობაში არსებული 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,

2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“.

გადაწყვიტეს: კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი**